

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი



საჰაერო ტრანსპორტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი

„ვამტკიცებ“

რექტორი, პროფესორი

_____ ს. ტეფნაძე

ბრძანება N___ „___“ _____ 20__ წ.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

თბილისი
2015

საგანმანათლებლო პროგრამა

| | |
|-------------------------------|--|
| პროგრამის სახელწოდება | საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი |
| სწავლების ენა | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტის სპეციალობით |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით | საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 240 კრედიტის დაგროვებას. 1 კრედიტი = 28 ასტრონომიულ საათს. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან და მოიცავს 40 სასწავლო კვირას. თითოეული სემესტრი კი შედგება 20 სასწავლო კვირისგან. საბაკალავრო პროგრამით სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 8 სემესტრი. საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს არაუმეტეს 3 დამატებითი სემესტრის განმავლობაში. |
| ხელმძღვანელი | საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ დუმბაძე |

I. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროში კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია ორგანიზაციების (ავიასაწარმოების) მართვა განხორციელდეს მენეჯმენტში არსებული თანამედროვე კვლევებისა და მეთოდების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის მიზანია:

- ✓ ბაკალავრს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა მენეჯმენტის სფეროში, რათა დაეუფლოს ორგანიზაციის (ავიასაწარმოს) კოლექტიური და ინდივიდუალური მართვის პროცესების კანონზომიერებებს, მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების მეთოდებს, ბიზნეს-გეგმის შედგენის წესს, გააცნობიეროს მენეჯმენტის ფუნქციები (დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია, კონტროლი). გააჩნდეს საბაზრო ეკონომიკაში ორიენტაციის უნარი;
- ✓ ბაკალავრს გამოუმუშავოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელთა საფუძველზეც მიაღწევს ისეთ კომპეტენციებს, როგორცაა საბაზრო სისტემის მოთხოვნათა გათვალისწინება, ორგანიზაციებში (ავიასაწარმოებში) მმართველობითი სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება, გუნდში მუშაობა, სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებში მოქმედება, ცოდნის პრაქტიკაში გადატანა, დასკვნისა და კომუნიკაციის უნარი;
- ✓ ბაკალავრს ჩამოუყალიბოს ღირებულებები, დაფუძნებული პროფესიულ და მორალურ ეთიკის ნორმებზე, განუვითაროს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა.

II. დაშვების წინაპირობა

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის ან შიდა მობილობის გზით, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

III. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი რეალიზება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების ძირითადი თავისებურებების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე. კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

| | |
|---|---|
| <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> | <p>ბაკალავრს აქვს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ზოგად დისციპლინებს; ✓ ეკონომიკური მეცნიერების ძირითად პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; ✓ ზოგადი და საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული საკითხების კრიტიკულ გააზრებას; ✓ ავიაბიზნესის წარმართვის ძირითად ტენდენციებს. <p>ბაკალავრს შეუძლია ბიზნესის ფუნქციური სფეროების - პროექტების, სტრატეგიული, ადამიანური რესურსების, სამგზავრო და სატვირთო ავიაგადაყვანა-გადაზიდვების მენეჯმენტის, ბიზნესისა და მარკეტინგის საფუძვლების, ავიასაწარმოთა ეკონომიკური ანალიზისა და სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკის საკითხების კომპლექსური გაცნობიერება.</p> |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>ბაკალავრს შეუძლია კომპეტენციის ფარგლებში, ხელმძღვანელის მითითების საფუძველზე ორგანიზაციების (ავიასაწარმოების) ბიზნეს-საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ბიზნეს-გეგმაზე მუშაობა; ✓ ბიზნეს-პროექტის ცალკეული სტადიების შემუშავება; ✓ ორგანიზაციის წინაშე არსებული ცალკეული მმართველობითი პრობლემების გადაჭრა; ✓ მიზნობრივი ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი სეგმენტაცია; ✓ მატერიალური, შრომითი, ფინანსური რესურსების მართვა, მათი რაციონალური გამოყენება და მონიტორინგი. |
| <p>დასკვნის უნარი</p> | <p>ბაკალავრს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მენეჯმენტის სფეროში სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, განმარტებისა და მათი ანალიზის საფუძველზე დასკვნის გაკეთების უნარი; ✓ შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, პრაქტიკულ საქმიანობაში |

| | |
|---------------------------|---|
| | სიტუაციური ანალიზის საფუძველზე წამოჭრილი საკითხების ფორმულირებისა და დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარი. |
| კომუნიკაციის უნარი | <p>ბაკალავრს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ბიზნესის სფეროში თანამედროვე ტენდენციების, არსებული პრობლემების, მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; ✓ დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა ქართულ და ინგლისურ ენებზე; ✓ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება; ✓ რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია; ✓ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებში კომუნიკაცია; ✓ ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა. |
| სწავლის უნარი | <p>ბაკალავრს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მენეჯმენტის სფეროში თანამედროვე კვლევებისა და მეთოდების, ასევე ტექნოლოგიური სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის უწყვეტად განახლების უნარი; ✓ სხვადასხვა ტექნიკური წყაროების გამოყენებით ავიაციის სფეროში ინტერესების გაფართოებისა და ცალკეული საკითხების შესწავლის უნარი. <p>ბაკალავრს მიღებული ცოდნის საფუძველზე, შეუძლია განსაზღვროს სწავლის გაგრძელების შემდგომი საჭიროება.</p> |
| ღირებულებები | ბაკალავრს გაცნობიერებული აქვს ბიზნესში ქცევის ეთიკური ნორმები და მორალური პრინციპები, ასევე ფლობს პროფესიული ღირებულებების კომპონენტებს (სიზუსტეს, პუნქტუალობას, ორგანიზებულობას, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას, ადამიანთა მოტივაციასა და საერთო მიზნების მისაღწევად მათ ორგანიზებას). |

IV. დასაქმების სფერო

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო და კერძო ორგანიზაციებში, კერძოდ ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, ავიასააგენტოებში, საავიაციო ქარხნებში, სადაზღვევო კომპანიებში, სახელმწიფო მართვის ორგანოებში, საბანკო სექტორსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც მოითხოვება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯმენტის სპეციალობით.

V. სასწავლო კურსების სწავლების ფორმა

პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების შესწავლა ხორციელდება ლექციებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისას. პროგრამის შესაბამისად სტუდენტის მიერ საგნების შესწავლა უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი მეცადინეობის დროსაც.

სწავლების ფორმებია:

- **ლექცია** - სტუდენტებისადმი თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა სილაბუსით განსაზღვრული თემების მიხედვით;

- **პრაქტიკული მეცადინეობა** - ჯგუფთან სალექციო მასალის შესაბამისი პრაქტიკული ამოცანების, ზეპირი და ტესტური სამუშაოების, პრეზენტაციების, დისკუსიებისა და სხვა სამუშაოების ფარგლებში ცოდნის და უნარ-ჩვევების გამოვლენა/შეფასება;
- **სტუდენტთა დამოუკიდებელი მეცადინეობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე განხილული თემების ათვისებისათვის და შუალედური შემოწმებისა და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის სამუშაო დრო;
- **საწარმოო პრაქტიკა** - ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის საწარმოში რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე.

VI. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა-პასუხის, ინტერაქტიური მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები.

2. დისკუსია/დებატები – სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი, ინტენსიურად ჩაერთონ დისკუსიაში და განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა.

3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. შემთხვევების შესწავლა (Case study) – ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საერთაშორისო ბაზარზე ავიაკომპანიების მიერ პრიორიტეტული მომხმარებელთა სეგმენტის გამოვლენის მიზნით სამგზავრო და საბარგო გადაყვანა-გადაზიდვების მოცულობაზე მოქმედი ფაქტორების განხილვა, კერძოდ: ავიაბაზრის მოცულობა, მგზავრის გადახდისუნარიანობა, ქვეყნის დემოგრაფია, ფრენის სეზონურობა და სხვა.

5. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

6. წერითი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება და სხვ.

7. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

8. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შექმნილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამალღებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, არის წარმოდგენილი. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას, დაცვის მიზნით.

9. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

10. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** -

• სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ;

• სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;

• სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;

• სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

11. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

12. **საქმიანი (როლური) თამაშები** - სხვადასხვა სიტუაციებში, წინასწარ დადგენილი წესებით, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების იმიტაციური მეთოდი (რეალურ ობიექტზე ექსპერიმენტების ჩატარების გარეშე მოვლენის შინაარსის გაცნობიერება) სიუჟეტურ-როლებიანი თამაშის ორგანიზაციის გზით. იგი სტუდენტებისათვის სინამდვილესთან მიახლოებულ სიტუაციაში

ადეკვატური ქვევის ნორმების შეცნობის საშუალებაა, რომელიც აუცილებლად მოიცავს თამაშის მიზნის, დავალების, პირობების და წესების გაცნობას.

13. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

14. წიგნზე მუშაობის მეთოდი - დამოუკიდებლად მოცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი.

15. ვერისტიკული მეთოდი – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

16. სოკრატისეული მეთოდი - აღნიშნული მეთოდის მიხედვით სტუდენტები ვალდებულნი არიან, ლექციამდე წაიკითხონ და წინასწარ მოამზადონ ლექციისათვის გათვალისწინებული მითითებული მასალა, მოინიშნონ მათთვის საინტერესო საკითხები და პრობლემები, იფიქრონ ლექტორის მიერ შესაძლო კითხვებზე. ამ სტრატეგიის შედეგად ლექციას აღარ ექნება მონოლოგის სახე. ამის საპირისპიროდ თითოეული სტუდენტი აქტიურად იქნება ჩართული ლექციის მსვლელობაში, ვალდებული იქნება პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვებს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და მოახდინოს მისი სამართლებრივი დასაბუთება. შედეგად, ძირითადი დრო ლექციის დაეთმობა ანალიზს, არგუმენტაციას, აზრთა გაცვლას.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

VII. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

| ქულა | შეფასება |
|-----------------------------------|-------------------------|
| მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი | A - „ფრიადი“ |
| მაქსიმალური შეფასების 81-90% | B - „ძალიან კარგი“ |
| მაქსიმალური შეფასების 71-80% | C - „კარგი“ |
| მაქსიმალური შეფასების 61-70% | D - „დამაკმაყოფილებელი“ |
| მაქსიმალური შეფასების 51-60% | E - „საკმარისი“ |

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

| ქულა | შეფასება |
|--------------------------------------|--------------------|
| მაქსიმალური შეფასების 41-50% | Fx - „ვერ ჩააბარა“ |
| მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები | F - „ჩაიჭრა“ |

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მის მიერ გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას - 60 ქულა (ერთი შუალედური შემოწმება და მიმდინარე შეფასება ან ორი შუალედური შემოწმება);

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას - 40 ქულა.

სტუდენტთა შეფასების სქემა, პერიოდულობა და კრიტერიუმები მოცემულია თითოეულ სილაბუსში.

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დადგენილი სამუშაოების შესრულებაში მიღებული დადებითი შეფასება.

VIII. გამოცდები

დასკვნითი გამოცდა

ა) დასკვნითი გამოცდა (წერიითი ფორმით) ტარდება სასწავლო პროცესის კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;

ბ) დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების ჯამური ქულისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა;

გ) დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40;

დ) დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 5 ქულა და მეტი;

ე) თუ სტუდენტმა შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგების შეჯამების საფუძველზე დააგროვა 41-50 ქულა, მაშინ მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ვ) თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს, სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება „F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით. სტუდენტს შეუძლია ხელახლა შეისწავლოს საგანი.

დამატებითი გამოცდა

ა) სტუდენტს უფლება აქვს დამატებით გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ;

ბ) დამატებით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 5 და მეტი ქულა;

გ) დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება „F” (ჩაიჭრა);

დ) დამატებით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი შეფასება ავტომატურად განსაზღვრავს სტუდენტის შესაბამის სემესტრულ შეფასებას - 0 ქულა - „F” (ჩაიჭრა);

ე) თუ შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს „FX“- ს (ვერ ჩააბარა) ან „F“- ს (ჩაიჭრა) შესაბამის ქულებს, სტუდენტს შეუძლია ხელახლა შეისწავლოს საგანი.

IX. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა სემესტრების მიხედვით

| 1 | დისციპლინათა დასახელება | საგნის კოდი | დაშვების წინაპირობა | კრედიტები | საათები | | | | სწავლების წლები და სემესტრები | | | | | | | | სულ კრედიტები |
|---|-------------------------------|-------------|---------------------------|-----------|------------|------------|-------------------------------|---------------|-------------------------------|-----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|---------------|
| | | | | | სულ | სააუდიტორო | ლექცია/ჯგუფში მუშაობა/გამოცდა | დამოუკიდებელი | I | | II | | III | | IV | | |
| | | | | | | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | |
| | | | | | | | | | კრედიტი | კრედიტი | კრედიტი | კრედიტი | კრედიტი | კრედიტი | კრედიტი | კრედიტი | |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | |
| საფაკულტეტო ზოგადი სავალდებულო საგნები | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | მათემატიკა 1 (ბიზნესისათვის) | DEP.4.1.25 | წინაპირობის გარეშე | 6 | 168 | 64 | 30/30/4 | 104 | 6 | | | | | | | | 6 |
| 2 | აკადემიური წერის საფუძვლები | DEP.4.1.36 | წინაპირობის გარეშე | 3 | 84 | 34 | 15/15/4 | 50 | 3 | | | | | | | | 3 |
| 3 | კომპიუტერული უნარები | ENG.3.1.2 | წინაპირობის გარეშე | 3 | 84 | 34 | 0/30/4 | 50 | | 3 | | | | | | | 3 |
| 4 | მათემატიკა 2 (ბიზნესისათვის) | DEP.4.1.26 | DEP.4.1.25 | 6 | 168 | 64 | 30/30/4 | 104 | | 6 | | | | | | | 6 |
| 5 | ბიზნესის ეტიკა | BUS.1.1.1 | BUS.1.1.5 | 3 | 84 | 34 | 14/16/4 | 50 | | 3 | | | | | | | 3 |
| სულ საფაკულტეტო ზოგადი სავალდებულო | | | | 21 | 588 | 230 | | 358 | 9 | 12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 21 |
| უცხოური ენების მოდული | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | ინგლისური ენა B1 | DEP.2.1.10 | წინაპირობის გარეშე | 6 | 168 | 64 | 0/60/4 | 104 | 6 | | | | | | | | 6 |
| 7 | ინტენსიური ინგლისური ენა1 | DEP.2.1.31 | წინაპირობის გარეშე | 6 | 168 | 124 | 0/120/4 | 44 | | | | | | | | | |
| 8 | ინგლისური ენა B2 | DEP.2.1.11 | DEP.2.1.10 | 6 | 168 | 64 | 0/60/4 | 104 | 6 | | | | | | | | 6 |
| 9 | ინტენსიური ინგლისური ენა 2 | DEP.2.1.32 | DEP.2.1.31 | 6 | 168 | 124 | 0/120/4 | 44 | | | | | | | | | |
| 10 | პროფესიული ინგლისური ენა I | DEP.2.1.27 | DEP.2.1.11/ DEP.2.1.32 | 6 | 168 | 64 | 0/60/4 | 104 | | | 6 | | | | | | 6 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|--|--|------------|--------------------|-----------|-------------|------------|---------|------------|-----------|-----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|-----------|
| 11 | პროფესიული ინგლისური ენა II | DEP.4.1.35 | DEP.2.1.27 | 6 | 168 | 64 | 0/60/4 | 104 | | | | 6 | | | | | 6 |
| სულ უცხოური ენები | | | | 36 | 1008 | 504 | | 504 | 6 | 6 | 6 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 24 |
| საფაკულტეტო ზოგადი არჩევითი საგნები | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | საქართველოს ისტორია და მსოფლიო ცივილიზაცია | DEP.2.1.15 | წინაპირობის გარეშე | 3 | 84 | 34 | 15/15/4 | 50 | 3 | | | | | | | | 3 |
| 13 | ფილოსოფია | DEP.2.1.21 | წინაპირობის გარეშე | 3 | 84 | 34 | 15/15/4 | 50 | | | | | | | | | |
| 14 | ფსიქოლოგია | DEP.2.1.22 | წინაპირობის გარეშე | 3 | 84 | 34 | 15/15/4 | 50 | | 3 | | | | | | | 3 |
| 15 | თეოლოგია | DEP.2.1.17 | წინაპირობის გარეშე | 3 | 84 | 34 | 15/15/4 | 50 | | | | | | | | | |
| სულ საფაკულტეტო ზოგადი არჩევითი | | | | 12 | 336 | 136 | | 200 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 |
| სულ საფაკულტეტო საგნები | | | | | | | | | 21 | 18 | 6 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 51 |
| სპეციალობის სავალდებულო საგნები | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | მიკროეკონომიკა | BUS.1.1.3 | წინაპირობის გარეშე | 6 | 168 | 64 | 28/32/4 | 104 | 6 | | | | | | | | 6 |
| 17 | ბიზნესის საფუძვლები | BUS.1.1.5 | წინაპირობის გარეშე | 6 | 168 | 64 | 28/32/4 | 104 | 6 | | | | | | | | 6 |
| 18 | მაკროეკონომიკა | BUS.1.1.4 | BUS.1.1.3 | 6 | 168 | 64 | 28/32/4 | 104 | | 6 | | | | | | | 6 |
| 19 | ფინანსების თეორია | BUS.1.1.7 | BUS.1.1.4 | 3 | 84 | 34 | 15/15/4 | 50 | | | 3 | | | | | | 3 |
| 20 | ალბათობის თეორია | DEP.4.1.31 | DEP.4.1.26 | 3 | 84 | 34 | 15/15/4 | 50 | | | 3 | | | | | | 3 |
| 21 | სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკა | BUS.1.1.13 | BUS.1.1.5 | 6 | 168 | 64 | 30/30/4 | 104 | | | 6 | | | | | | 6 |
| 22 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | BUS.1.1.9 | BUS.1.1.3 | 6 | 168 | 64 | 30/30/4 | 104 | | | 6 | | | | | | 6 |
| 23 | მენეჯმენტის საფუძვლები | BUS.1.1.11 | BUS.1.1.5 | 6 | 168 | 64 | 28/32/4 | 104 | | | 6 | | | | | | 6 |
| 24 | სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | BUS.1.1.8 | DEP.4.1.31 | 6 | 168 | 64 | 30/30/4 | 104 | | | | 6 | | | | | 6 |
| 25 | მარკეტინგის საფუძვლები | BUS.1.1.10 | BUS.1.1.11 | 6 | 168 | 64 | 28/32/4 | 104 | | | | 6 | | | | | 6 |
| 26 | ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება | BUS.1.1.12 | BUS.1.1.9 | 6 | 168 | 64 | 30/30/4 | 104 | | | | 6 | | | | | 6 |
| 27 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | BUS.1.1.41 | BUS.1.1.11 | 6 | 168 | 64 | 30/30/4 | 104 | | | | 6 | | | | | 6 |
| 28 | ოპერაციული მენეჯმენტი | BUS.1.1.15 | BUS.1.1.11 | 6 | 168 | 64 | 30/30/4 | 104 | | | | | 6 | | | | 6 |
| 29 | მენეჯერული აღრიცხვა | BUS.1.1.33 | BUS.1.1.12 | 6 | 168 | 64 | 28/32/4 | 104 | | | | | 6 | | | | 6 |
| 30 | რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში | BUS.1.1.34 | BUS.1.1.11 | 6 | 168 | 64 | 28/32/4 | 104 | | | | | 6 | | | | 6 |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|------------------------------------|--|--|--|----------|-----------|-----------|--|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|------------|
| | სტუდენტს შეუძლია აითვისოს უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან | | | | | | | | | | | | | | |
| სულ თავისუფალი კომპონენტები | | | | 3 | 84 | 34 | | 50 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| ს უ ლ | | | | | | | | | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 240 |

X. სწავლის შედეგების რუკა

კომპეტენციები

| N | კომპონენტების დასახელება | კომპეტენციები | | | | | |
|----|--|-----------------------|--------------|----------------|--------------------|---------------|--------------|
| | | ჯგუფი და გაცნობიერება | ცოდნის უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| 1 | მათემატიკა 1 (ბიზნესისათვის) | X | X | X | | X | |
| 2 | აკადემიური წერის საფუძვლები | X | | | X | X | X |
| 3 | კომპიუტერული უნარები | X | X | | X | | |
| 4 | მათემატიკა 2 (ბიზნესისათვის) | X | X | | | X | |
| 5 | ბიზნესის ეთიკა | X | X | | X | | X |
| 6 | ინგლისური ენა B1 | X | X | | X | | |
| 7 | ინტენსიური ინგლისური ენა1 | X | X | | X | | |
| 8 | ინგლისური ენა B2 | X | X | | X | | |
| 9 | ინტენსიური ინგლისური ენა 2 | X | X | | X | | |
| 10 | პროფესიული ინგლისური ენა I | X | X | | X | | |
| 11 | პროფესიული ინგლისური ენა II | X | X | | X | | |
| 12 | საქართველოს ისტორია და მსოფლიო ცივილიზაცია | X | X | X | | | X |
| 13 | ფსიქოლოგია | X | X | | X | | X |
| 14 | ფილოსოფია | X | | X | | | X |
| 15 | თეოლოგია | X | X | | | | X |
| 16 | მიკროეკონომიკა | X | X | X | X | X | |
| 17 | მაკროეკონომიკა | X | X | X | X | X | |
| 18 | ბიზნესის საფუძვლები | X | X | X | X | X | |
| 19 | ფინანსების თეორია | X | X | | | X | |
| 20 | ალბათობის თეორია | X | X | X | | | |
| 21 | სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკა | X | X | X | X | X | |
| 22 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | X | X | X | | | |
| 23 | მენეჯმენტის საფუძვლები | X | X | X | X | X | |
| 24 | სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | X | X | X | X | | |
| 25 | მარკეტინგის საფუძვლები | X | X | X | | | X |
| 26 | ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება | X | X | X | X | | |
| 27 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | X | X | X | X | | |
| 28 | ოპერაციული მენეჯმენტი | X | X | X | | | |
| 29 | მენეჯერული აღრიცხვა | X | X | X | X | | |
| 30 | რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში | X | X | X | X | | |
| 31 | სტრატეგიული მენეჯმენტი | X | X | X | X | | |
| 32 | ლოგისტიკის საფუძვლები | X | X | X | | | |
| 33 | სამგზავრო ავიაგადაყვანების მენეჯმენტი | X | X | X | X | | |
| 34 | ორგანიზაციული ქცევა | X | X | X | X | X | X |
| 35 | საერთაშორისო ბიზნესი | X | X | X | X | | |
| 36 | ბიზნესის სამართალი | X | X | X | | | |
| 37 | სატვირთო ავიაგადაზიდვების მენეჯმენტი | X | X | | X | | |

| | | | | | | | |
|----|--|---|---|---|---|---|---|
| 38 | საჰაერო ტრანსპორტის კომერციული ექსპლუატაცია | X | X | X | X | | |
| 39 | ავიასაწარმოთა ეკონომიკური ანალიზი | X | X | X | X | | |
| 40 | პროექტების მენეჯმენტი | X | X | X | X | | |
| 41 | საწარმოო პრაქტიკა | X | X | X | X | X | X |
| 42 | საბაკალავრო ნაშრომი | X | X | X | X | X | X |
| 43 | საგადასახადო საქმე | X | X | X | | | |
| 44 | საბანკო საქმის საფუძვლები | X | X | X | | | |
| 45 | საინოვაციო მენეჯმენტი | X | X | X | X | | |
| 46 | ლიდერობა | X | X | X | X | X | X |

XI. ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამით

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სწავლების პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები), ლინგაფონის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

ადამიანური რესურსი

| პროფესორ - მასწავლებლები | | |
|--------------------------|----------------------|------------------------|
| N | სახელი გვარი | დაკავებული თანამდებობა |
| 1 | იმედაშვილი გულნარა | პროფესორი |
| 2 | დუმბაძე ნოდარი | პროფესორი |
| 3 | სუხიტაშვილი იური | პროფესორი |
| 4 | თავაძე ნინო | პროფესორი |
| 5 | ნონიაძე ალექსი | ასოცირებული პროფესორი |
| 6 | ჩინჩალაძე მაია | ასოცირებული პროფესორი |
| 7 | დოლიაშვილი თინათინი | ასოცირებული პროფესორი |
| 8 | კურტანიძე ანა | ასოცირებული პროფესორი |
| 9 | დარსაველიძე ნინო | ასოცირებული პროფესორი |
| 10 | ზაუტაშვილი გიორგი | ასოცირებული პროფესორი |
| 11 | გიორგობიანი ქეთევანი | ასოცირებული პროფესორი |
| 12 | მოწენიძე მედეა | ასისტენტი |
| 13 | ხუჭუა ნინო | ასისტენტი |
| 14 | უერთაშვილი ნათია | მასწავლებელი |
| 15 | ბუკია მახარე | მასწავლებელი |
| 16 | ედიბერიძე მზია | მასწავლებელი |
| 17 | ქველაძე მანანა | მასწავლებელი |

| მოწვეული სპეციალისტები | | |
|------------------------|-------------------|----------------------|
| 1 | დიდიშვილი ნინო | მოწვეული სპეციალისტი |
| 2 | ღამბაშიძე თამარი | მოწვეული სპეციალისტი |
| 3 | გრიგალაშვილი ნინო | მოწვეული სპეციალისტი |
| 4 | გრიგოლაია ნინო | მოწვეული სპეციალისტი |
| 5 | სესაძე ნელი | მოწვეული სპეციალისტი |
| | მაგრაქველიძე დალი | მოწვეული სპეციალისტი |
| | ბერიძე ია | მოწვეული სპეციალისტი |
| | ჩხაიძე ალექსანდრე | მოწვეული სპეციალისტი |
| | ნაჭყებია რუსუდანი | მოწვეული სპეციალისტი |
| | ვეფხვაძე თეა | მოწვეული სპეციალისტი |
| 11 | ჩიტაია მალხაზი | მოწვეული სპეციალისტი |
| 12 | ხატაძე გიორგი | მოწვეული სპეციალისტი |
| 13 | ცერცვაძე ნინო | მოწვეული სპეციალისტი |

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,
პროფესორი

ნ. დუმბაძე

შეთანხმებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსი, პროფესორი

-----ქ. დავითაძე

განხილულია
საჰაერო ტრანსპორტის ბიზნესის
ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი N ___ „___“ _____ 2015 წ.
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

----- გ. იმედაშვილი